# საბჭოთა ადამიანი კვლავ კოსმოსშია!

## სააგენტოს ცნობა

1962 წლის 11 აგვისტოს 11 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში დედამიწის ორბიტაზე გაყვანილია კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთ—3". ხომალდს „აღმოსავლეთ—3" მართავს საბჭოთა კავშირის მოქალაქე კოსმონავტი მფრინავი მაიორი ამხანაგი ანდრიანე გრიგოლის ძე ნიკოლაევი. გაფრენის მიზანია:

— დამატებითი მონაცემების მიღება იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს კოსმოსური ფრენის პირობები ადამიანის ორგანიზმზე;

— უწონობის პირობებში ადამიანის შრომისუნარიანობის გამოკვლევა, ადამიანის მიერ გარკვეული მოძულობის მეცნიერული დაკვირვებების განხორციელება კოსმოსური ფრენის პირობებში;

— კოსმოსური ხომალდების, კავშირგაბმულობის საშუალებათა, მართვისა და დაშვების სისტემების შემდგომი სრულყოფა.

თანამგზავრი ხომალდი „აღმოსავლეთ—3" გაყვანილია ორბიტაზე, რომელიც უახლოვდება გაანგარიშებულს. წინასწარი მონაცემებით დედამიწის გარშემო თანამგზავრი ხომალდის ბრუნვის პერიოდი შეადგენს 88,5 წუთს.

მინიმალური დაშორება დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) და მაქსიმალური (აპოგეა) შესაბამისად უდრის 183 და 251 კილომეტრს. ორბიტის სიბრტყის დახრილობის კუთხე ეკვატორის სიბრტყისადმი დაახლოებით 65 გრადუსია.

კოსმოსურ ხომალდთან „აღმოსავლეთ—3" დამყარებულია მუდმივი ორმხრივი რადიოკავშირი. კოსმონავტ მფრინავის ამხანაგ ნიკოლაევის ცნობებით, ტელემეტრიული და სატელევიზიო სისტემების დახმარებით მიღებული ობიექტური მონაცემების თანახმად მან დამაკმაყოფილებლად გადაიტანა ორბიტაზე ხომალდის გაყვანის პერიოდი და უწონობის მდგომარეობაში გადასვლა. ამხანაგი ნიკოლაევი კარგად გრძნობს თავს. კოსმონავტი მფრინავი ამხანაგი ნიკოლაევი თავის გადაცემებს აწარმოებს 20,006 და 143, 625 მეგაჰერც სიხშირეზე. ხომალდზე დადგმულია აგრეთვე გადამცემი სიგნალი, რომელიც მუშაობს 19,995 მეგაჰერც სიხშირეზე. კოსმოსური ხომალდის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს. ცნობებს ფრენის შემდგომი მიმდინარეობის შესახებ გადასცემს საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგური.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

12 აგვისტო

კვირა, 1962 წ.

№ 158 (2007)

გამოცემის მე-19 წელი

ფასი 4 კაპ.


## ორი საკავშირო რეკორდი

ტყვიით მსროლელთა საკავშირო ჩემპიონატის ყოველ ახალ დღეს, ახალი საერთაშორისო კლასის შედეგები და რეკორდები მოაქვს. ასე იყო გასულ პარასკევს, როდესაც საბჭოთა არმიისა და „დინამოს" ნაკრებმა გუნდებმა ორი საკავშირო რეკორდი გააუმჯობესეს.

მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მეტრზე სროლაში არმიელმა სპორტსმენებმა დააგროვეს 1.543 ქულა. ახალი საკავშირო რეკორდი იქნა დამყარებული ასევე დგომელი სროლაში „დინამოს" ნაკრები გუნდის მიერ — 1.475 ქულა.

მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მეტრზე სროლაში მრგვალ სამიზნეზე (ქალთა . შორის) ოქროს მედალი მოიპოვა მ. სოროკინამ.

## კოშკიდან, ტრამპლინიდან

**საქართველოს 1962 წლის პირად-გუნდური პირველობა წყალში ხტომაში**

1961 წლის დასაწყისში წყალში მხტომელთა რესპუბლიკურმა ფედერაციამ შეიმუშავა ხალხთა III სპარტაკიადისათვის საქართველოს ნაკრების წევრთა მზადების პერსპექტიული გეგმა. სწორედ ერთ-ერთი ეტაპი ამ მზადებისა გახლდათ რესპუბლიკის წლევანდელი პირველობა.

შეჯიბრება გახსნეს სამმეტრიანი ტრამპლინიდან მხტომელმა გოგონებმა, რომლებიც მოზრდილთა პირველი თანრიგის პროგრამით გამოდიოდნენ. აქ უძლიერესი იყო თბილისის მე-11 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ა. კალიაგინა. მისი შედეგი 95,40 ქულა 5,40 ქულით აღემატება პირველი თანრიგის ნორმას. მომდევნო ადგილები და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს თბილისელმა სპორტსმენებმა ლ. იაროსლავცევამ — 76,06 ქულა, რ. მარტიროსიანმა — 71,27 ქულა და ნ. სმირნოვამ — 70,29 ქულა.

ჭაბუკთა შორის შეჯიბრება თბილისელთა გამარჯვებით აღინიშნა. პირველი იყო ი. კუპრიანოვი — 97,10 ქულა (პირველი თანრიგის ნორმა უდრის 100 ქულას), მეორეზეა ვ. მურადოვი — 83,92 ქულა, მესამეზე — ა. ფილიევი — 79,74 ქულა. დანარჩენმა 11 მონაწილემ ვერ შეასრულა სათანრიგო მოთხოვნები და ფინალში ვერ მოხვდა. ქალთა შორის მხოლოდ დ. კინწურაშვილმა შეძლო სათანრიგო ნორმატივის შესრულება და 86,72 ქულით ფინალში გავიდა.

შეჯიბრების მეორე დღეს ასპარეზობდნენ კოშკიდან მხტომელები. გოგონებმა შედარებით ადვილად შეასრულეს ნორმატივები. პირველი იყო ლ. იაროსლავცევა — 50,96 ქულა (პირველი თანრიგი უდრის 50 ქულას). ფინალში გავიდნენ აგრეთვე თბილისელები რ. მარტიროსიანი — 49,48 ქულა, ა. გოლოვატაია — 47,70 ქულა და ნ. სმირნოვა — 40,97 ქულა.

ჭაბუკთა შორის ერთადერთმა ი. კუპრიანოვმა შეძლო ფინალში მოხვედრა (100,95 ქულა).




# გაუმარჯოს ძვირფასი პროფესიის ადამიანებს — სოციალისტური სამშობლოს მშენებლებს!

ქალები კოშკიდან ხტომაში უფრო დამაჯერებლად მოქმედებდნენ, ვიდრე ტრამპლინიდან. საუკეთესო მათ შორის იყო სპორტის ოსტატი ნ. ნუდელი — 81,86 ქულა.

ვაჟებში ათი მონაწილიდან მხოლოდ სამმა შეძლო ფინალში გასვლა, ესენია: სპორტის ოსტატი ბ. პლეგაკო (თბილისი), ვ. ტოჩენინი (აჭარა) და სპორტის ოსტატი ა. ნეგორსკი (თბილისი).

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)



### „შახტიორის" ფეხბურთელებმა შეინარჩუნეს თასი

გუშინ, მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის 1962 წლის თასის გათამაშების ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ გასული წლის თასის მფლობელი — დონეცკის „შახტიორისა" და ორეხოვო-ზუევოს „ზნამია ტრუდას" გუნდები. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა და სსრ კავშირის თასი შეინარჩუნა „შახტიორის" გუნდმა.

### სიურპრიზები კიშინიოვში

კალათბურთელ ქალთა საკავშირო შეჯიბრების დასკვნითი ეტაპი, რომელიც ტარდება კიშინიოვში, აღსავსეა მოულოდნელობებით. სხვებზე უფრო თანაბრად ატარებს მატჩებს მოსკოვის „სერპ ი მოლოტი". დედაქალაქის კალათბურთელებმა მორიგი შეხვედრა მოუგეს ნოვოსიბირსკის „სიბირიაჩკას" — 62:54.

ორი დამარცხება განიცადა ზედიზედ საპრიზო ადგილების ერთ-ერთმა მთავარმა პრეტენდენტმა, ტარტუს უნივერსიტეტის გუნდმა. პირველი მატჩი მან წააგო კიშინიოვის „ინჟდორსტროისთან" — 59:62, ხოლო მეორე — ტაშკენტის „ტექსტილმაშთან" — 43:56.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ლენინგრადის „ბურევესტნიკისა" და თბილისის „პოლიტექნიკის" მატჩი. საქართველოს კალათბურთელებმა ამჯერადაც მინიმალური ანგარიშით წააგეს შეხვედრა — 54:56.

მორიგი გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა, რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის გუნდმა. ამჯერად მან დაამარცხა როსტოვის „ბურევესტნიკი" — 65:49.

# ლონისძიებები მიეძღვნა ფიზკულტურელის საკავშირო დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

★ ★



სურათზე: გაცურვის მონაწილეები კატერით მიემართებიან სტარტისაკენ.

ფოტო და ტექსტი ვ. ხემიონოვისა.

## შორეული გაცურვა

აფხაზეთის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოსა და საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ინიციატივით მოეწყო შეჯიბრება პირად-გუნდურ პირველობაზე შორეულ გაცურვაში. მასში მონაწილეობა მიიღეს „განთიადის", „დინამოსა" და სხვა სპორტულ საზოგადოებათა 15-მა უძლიერესმა მოცურავემ.

შეჯიბრება, რომელიც მიეძღვნა ფიზკულტურელის საკავშირო დღეს, ჩატარდა სოხუმის ყურეში. სტარტი მოწყობილი იყო გუმისთასთან, ხოლო ფინიში — სოხუმის ნავსადგურში. დისტანცია უდრიდა 5 კილომეტრს. სტარტიდანვე, რომელიც სპორტსმენებმა აიღეს გაშლილ ზღვაში, ლიდერობა ხელთ იგდო აფხაზეთის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ქ. ზლობინმა („დინამო"). მაგრამ 30 წუთის შემდეგ მას წამოეწია თანაკლუბელი ს. იაკოვლევი და 300 მეტრის სხვაობა 50-მდე შეამცირა. მეტის გაკეთება ახალგაზრდა სპორტსმენმა ვეღარ შეძლო. ქ. ზლობინი პირველი იყო ფინიშთან, მეორე ადგილზე გამოვიდა ს. იაკოვლევი, ხოლო მესამეზე — განთიადელი ნ. მოსკალევი. საქართველოს უხუცესი მოცურავე ნ. იახნოპულო („განთიადი") მეოთხე ადგილზე გამოვიდა.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „დინამოს" პირველმა გუნდმა, მეორე ადგილი დაიკავეს განთიადელებმა.

---

## სტუმრად მეშახტეებთან

ორდღიან ტურისტულ ლაშქრობაში მონაწილე ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის მუშა-ახალგაზრდობა ავტომანქანაზე მოვთავსდით და მხიარული სიმღერებით ტყიბულისაკენ გავეშურეთ.

ლამაზია მაღაროელთა ქალაქი ტყიბული თავისი ადგილმდებარეობით, მაღალი მწვანე ქედებით, რომელთა ფერდობებზე გაშენებულია მაღაროელთა კოხტა ბინები. ხანმოკლე შესვენება და სოფელ ხარისთვალისკენ ვეშვებოდით. აქ კარვები გავჭიმეთ და ღამე გავათიეთ.

დილით ყველანი ადრე ვდგებით, ვეწყობით ხაზზე, ვატარებთ დილის გამაჯანსაღებელ ვარჯიშს.

... ვიბანთ ხელ-პირს, ვსაუზმობთ და თანახმად მარშრუტისა, „უდაბნოსაკენ" მივეშურებით..., იქედან კი ნიკორწმინდისაკენ.

წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ჩვენზე სოფელი ნიკორწმინდა, აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია მე-11 საუკუნეში აგებული ქართული ხუროთმოძღვრების საუკეთესო ძეგლი — ნიკორწმინდის ტაძარი.

ნიკორწმინდიდან ისევ ღამისათევ ადგილს ვუბრუნდებით, სადაც კარვებთან ერთად სხვა ბარგიც გვაქვს დატოვებული.

... მეშახტეთა ქალაქში კვლავ მთის ბილიკებით ვეშვებით, სადაც მეგობრულ საღამოზე შევხვდით მეშახტეებს.

ზ. ჩიმაკაძე

---

## სპორტსმენთა ბრიგადები

ქარხანა „ელექტროავტომატის" ყველა ბრიგადაში, უბანზე, ცვლასა თუ საამქროში შეხვდებით შრომისმოყვარე ქალიშვილებსა და ჭაბუკებს. ახალგაზრდები დღითიდღე ამრავლებენ შრომით მიღწევებს და იბრძვიან კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელის მოსაპოვებლად.

ზაურ რუსიას და გურამ ჯახუტაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადების სახელი დიდი ხანია გასცდა საწარმოს ფარგლებს. ბრიგადის წევრებს უყვართ შრომაც, სწავლაც და გონივრული დასვენებაც.

გ. ავაზაშვილს ხშირად ნახავთ საჭადრაკო დაფასთან. ა. ტატუაშვილი კი ფეხბურთელია და თანაბრიგადელ ბ. სირაძესა და ზ. მიქაიასთან ერთად ქარხნის ნაკრებში თამაშობს.

გურამ ჯახუტაშვილის ზეინკალ-დამამზადებელთა ბრიგადას შეჯიბრება შრომაშიც უყვარს და სპორტშიც.

ბრიგადის ხელმძღვანელს ჭადრაკის თამაში იტაცებს და ქარხანაში ახლადფეხადგმული ხელბურთის მოტრფიალეცაა. გ. ტოხმანიანი ფრენბურთელთა და ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების წევრიცაა. გიორგი გაღდავა მეორეთანრიგოსანი მძლეოსანია, შუბს ტყორცნის და ბირთვს კრავს. გივი ტუპოევიც მძლეოსანია, ოღონდ რბენის მოტრფიალე. ომარ რაზმაძე ტანმოვარჯიშეა, ხოლო გურამ ბახტაძეს კალათბურთი იტაცებს.

თ. ხვანდერაშვილი

---

# საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის მზადების დღეებში

## დავა დადებითად უნდა გადაწყდეს

ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღდა მზადება სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადისათვის. როგორც ცნობილია, მასში უძლიერესის სახელისათვის ცალკე გათამაშდება პირველობა საწარმოთა ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის და მათი შედეგები შევა რესპუბლიკების ნაკრები გუნდების მაჩვენებლებში. ამ ღონისძიებისათვის ემზადებიან საქართველოს ორგანიზაციებიც, რომელთა ძალთა ერთგვარი შემოწმება მოხდა ამას წინათ გამართულ სპორტკლუბების თბილისის საქალაქო სპარტაკიადაზე. მაშინ პირველობა მოიპოვეს „გამარჯვების" სპორტსმენებმა, რომლებმაც მხოლოდ იმის წყალობით აჯობეს „სინათლის" სპორტსმენებს, რომ ამ უკანასკნელებმა ვერ შეძლეს გუნდის გამოყვანა ცურვაში, თუმცა ამ სახეობის ბევრი მიმდევარი ჰყავთ.

როცა ეს სპორტული კლუბი იქმნებოდა, იგი აერთიანებდა ტრამვაის, ტროლეიბუსის სამმართველოების, ავტობუსების, მსუბუქი ტაქსების № 1 და № 2 კანტორების ფიზკულტურულ კოლექტივებს. შეთანხმებულმა მუშაობამ სპორტკლუბს საშუალება მისცა გასულ წელს გადაჭარბებით გაენაღდებინა ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმები და თვითვალდებულებანი. ახლა აქ 31 სპორტის ოსტატი და 72 პირველთანრიგოსანია. ეს დიდი ძალაა, მაგრამ ყველა შესაძლებლობა აქ არაა გამოყენებული.

სპორტკლუბების საქალაქო სპარტაკიადაზე „სინათლის" სპორტსმენებმა პირველი ადგილი მოიპოვეს ტანვარჯიშში. არის ფეხბურთელთა ძლიერი გუნდიც. მაგრამ საკავშირო სპარტაკიადისათვის მხოლოდ ორ სახეობაზე გეზის აღება საკმარისი როდია. კოლექტივში 3 ათასზე მეტი ფიზკულტურელი მისდევს 25 სახეობას, მაგრამ ბევრ მათგანში საერთო მაჩვენებლები დაბალია. დიდად იგრძნობა საკუთარი სპორტული ბაზების ნაკლებობა: 1 სპორტული დარბაზი და 3 კომბინირებული მოედანი—ეს არის და ეს. ტრანსპორტელთა განკარგულებაშია აგრეთვე საწყლოსნო სადგური ლისის ტბაზე. ადრე აქ ვარჯიშობდნენ ცურვის, წყალში ხტომისა და ნიჩბოსნობის მოყვარულნიც, მაგრამ ეს იყო წარსულში. ახლა ბაზა გაპარტახებამდეა მისული.

მაგრამ ეს ხარვეზები შეიძლება უმნიშვნელოდ მოგვეჩვენოს იმასთან შედარებით, რამაც თავი იჩინა უკანასკნელ ხანს. სპორტკლუბი „სინათლე" ორი სხვადასხვა პროფკავშირული ორგანიზაციის ფიზკულტურულ კოლექტივებს აერთიანებს. ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველო ადგილობრივი მრეწველობის პროფკავშირებს ეკუთვნის, ავტოკანტორები — კავშირგაბმულობის, ავტოტრანსპორტისა და გზატკეცილების პროფკავშირებს. სწორედ მათგან დაიწყო განხეთქილება.

გასულ წელს ავტოტრანსპორტელთა სამივე კანტორაში, სადაც 4.500 თანამშრომელია, გააუქმეს ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტთა შტატი და სპორტის მოყვარულნი ხელმძღვანელების გარეშე დატოვეს. სპორტკლუბის გამგეობამ ხმა აიმაღლა ამ უმართებულო გადაწყვეტილების წინააღმდეგ, მაშინ ავტოკანტორების პროფკავშირებმა სპორტკლუბს შეუწყვიტეს ფიზკულტურული მუშაობისათვის განკუთვნილი სახსრების მიცემა (რაც დაახლოებით 5.000 მანეთს შეადგენდა), ხოლო შემდეგ მიაღწიეს იმას, რომ აღნიშნული თანხა გადაეცათ ამ პროფკავშირების კულტურის სახლის (რომელიც კავშირგაბმულობის სახლთან არსებობს) განკარგულებაში.

ამ ფაქტებმა ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვია სპორტკლუბისა და სამგზავრო ავტოტრანსპორტელთა ფიზკულტურული კოლექტივების დამოკიდებულებაში. თუ ეს უკანასკნელნი შედიან სპორტკლუბის შემადგენლობაში (და ეს ასეა ნამდვილად), ისინი სპორტკლუბს უნდა ექვემდებარებოდნენ კიდეც. წინააღმდეგ შემთხვევაში სპორტკლუბის ხელმძღვანელებს უჭირთ გაარკვიონ რა სახსრებით აწარმოონ მუშაობა მათთან. აღარ ეწყობა შეჯიბრებები, შიდასაკოლექტივო სპარტაკიადები, ჩაიშალა „სინათლის" სპარტაკიადაც.

წელს ავტობუსების, მსუბუქი ტაქსების 1-ლ და მე-2 ავტოკანტორებს არავითარი ცნობა არ წარუდგენიათ სპორტკლუბში, თუ რამდენი ნიშნოსანი ან თანრიგოსანი მოამზადეს აქ წლის პირველ ნახევარში.

— კარგი სპორტსმენების შერჩევა შეიძლება ავტოტრანსპორტელებთან, რაც საგრძნობლად გააძლიერებდა გაერთიანებულ ფიზკულტურულ კოლექტივს, უფრო ადვილად შევძლებდით გვებრძოლა საკავშირო სპარტაკიადაზე მონაწილეობის უფლების მოპოვებისთვის მეტ სახეობაში. — გვითხრა სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ გ. სამადაშვილმა.

ეს საკითხი დადებითად უნდა გადაიჭრას. თუ არა და სპორტკლუბი დაკარგავს თავის სახეს და წარუმატებლად გამოვა საკავშირო სპარტაკიადის შესარჩევ შეჯიბრებებზე.

ო. გელაშვილი

---

## სპორტკლუბებს შორის

ტულში ჩატარდა მეტად საინტერესო ასპარეზობა. აქ ჩვენი ქვეყნის 32 ქალაქიდან ჩამოვიდა საწარმოთა სპორტული კლუბების 320 ტანმოვარჯიშე, რომლებიც ერთმანეთს ეცილებოდნენ უძლიერესის სახელის მოსაპოვებლად. აღსანიშნავია, რომ საწარმოთა ამ ტანმოვარჯიშეებს შორის ყველა გამოდიოდა სპორტის ოსტატისა და პირველთანრიგოსანისათვის განკუთვნილი ვარჯიშების პროგრამით.

მეტად საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა ბრძოლა ოსტატ ვაჟებს შორის. სავალდებულო ვარჯიშების შემდეგ პირად ჩათვლაში აქ ლიდერობდნენ ლ. უშაკოვი (სპორტკლუბი „ვიმპელი"), ი. შვარცერი („მეტალისტი") და ვ. დენისკინი („კრასნი ოქტიაბრი"). ძლიერად ჩაატარა ნებისმიერი ვარჯიშები ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა, თბილისის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს სპორტული კლუბის „სინათლის" ტანმოვარჯიშემ ჯ. ფრიდონიშვილმა. მან გადაუსწრო ორ ლიდერს და დაიკავა II საპრიზო ადგილი. პირველ ადგილზე დარჩა ლ. უშაკოვი, რომლის შედეგიც მრავალჭიდში არის 111,85 ქულა.

ქალთა შორის გაიმარჯვა სპორტკლუბ „ფ[illegible]ლის" წარმომადგენელმა რ. ისაიკინამ — 74,3 ქულა.

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესის სახელი მოიპოვეს მოსკოვის ლიხაჩოვის საავტომობილო ქარხნის ტანმოვარჯიშეებმა.



ხალისიანად და შინაარსიანად ატარებენ ზაფხულს თბილისის ლენინის სახელობის რაიონის მე-2 საქალაქო ბანაკის პიონერები. აქ მათთვის ყველა პირობაა შექმნილი ნორმალური გართობისა და დასვენებისათვის. როგორც ამ სურათიდან ჩანს, ბანაკის პიონერების ერთი ჯგუფი მაგიდის ჩოგბურთით ერთობა.

ფოტო ვ. გოგაძისა.

# ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედგა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა ცხაკაიას „განთიადმა“, რომელიც თამაშობდა ცხინვალის „ბურევესტნიკთან“. ძირითად უპირატესობას განთიადელებმა მიაღწიეს შესვენებამდე, როცა ორი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში. მეორე ტაიმში „ბურევესტნიკი“ შესამჩნევად გააქტიურდა და გაქვითა კიდეც ერთი გოლი, მაგრამ ცხაკაიელებმა მატჩის დამთავრებამდე კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

ლანჩხუთში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „გურია“ და ყვარლის „დურუჯი“. პირველ 45 წუთში ბურთი არ გატანილა — 0:0. შემდგომში მასპინძლებმა მთლიანად ხელთ იგდეს ინიციატივა და დაამარცხეს კიდეც მოწინააღმდეგე — 2:0.

ზესტაფონის „მეტალურგი“ წულუკიძის „ფეიქართან“ შეხვედრაში წინ იყო პირველი ტაიმის დამთავრების შემდეგ — 1:0, მაგრამ მასპინძლებმა შემდგომში საგრძნობლად გააძლიერეს თამაში და მოიპოვეს გამარჯვება — 2:1.

დიდი ანგარიში იქნა ფიქსირებული ჩოხატაურში, სადაც თამაშობდნენ ადგილობრივი „ბახმარო“ და ფოთის „მექანიზატორი“. ჩოხატაურელებმა ყოველ ტაიმში 2-2 ბურთი გაიტანეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0.

მეტად საინტერესო გამოდგა მატჩი თბილისში ადგილობრივ „ისანსა“ და ტყიბულის „მეშახტეს“ შორის. თბილისელებმა მეტად აქტიურად ჩაატარეს პირველი ტაიმი და თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს იგი — 1:0. მეორე ტაიმში ანგარიში ორამდე იქნა გაზრდილი, რის შემდგომ ტყიბულელებმა მთელი თავიანთი მაქსიმუმით ითამაშეს და ერთი გოლი გაქვითეს კიდეც, მაგრამ „ისნის“ მთელი კოლექტივი ამ დღეს თამაშობდა უდიდესი ალმაცლობით და შეინარჩუნა ეს უპირატესობა — 2:1. ტყიბულის „მეშახტემ“ მიმდინარე გათამაშებაში განიცადა პირველი დამარცხება.

თბილისის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს გუნდისა და ზუგდიდის „ოდიშის“ შეხვედრაში ინიციატივა თავიდან ხელთ აიღეს ზუგდიდელებმა და მე-15 წუთზე გახსნეს კიდეც ანგარიში, მაგრამ თბილისელებმა ტაიმის დამთავრებამდე შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა. შემდგომში თბილისელებს შესამჩნევი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ანგარიში 1:1 არ შეცვლილა თამაშის დამთავრებამდე.

იგივე ანგარიში იქნა ფიქსირებული თბილისში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტისა და რუსთავის „მეტალურგის“ გუნდები.

მახარაძის „მერცხლის“ ფეხბურთელებმა საუკეთესო თამაში აჩვენეს საკუთარ მინდორზე არმიის სპორტული კლუბის (თბილისი) გუნდთან შეხვედრაში. თბილისელებმა მხოლოდ თამაშის დასასრულს შეძლეს დაეღწიათ თავი „მშრალი“ ანგარიშისაგან და განიცადეს დამარცხება ანგარიშით 1:5.

ასევე ცხადი იყო ბათუმის „სპარტაკის“ უპირატესობა ხობის „კოლხიდასთან“ შეხვედრაში. ბათუმელები მოწინააღმდეგეს ჯობდნენ ყველა რგოლში და მატჩის შედეგი 4:1 მათ სასარგებლოდ სავსებით შეესაბამება ძალთა შეფარდებას მინდორზე. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ხობელი ფეხბურთელები უდისციპლინოდ იქცეოდნენ მინდორზე, რაც მათთვის პირველი შემთხვევა არ არის.

თელავის „ნადიკვარს“ განვლილი ტურის შეხვედრა ჰქონდა ბორჯომში ადგილობრივ „განთიადთან“, მასპინძლებმა კარგად ჩაატარეს შეხვედრა და მოიპოვეს დამსახურებული გამარჯვება ანგარიშით 3:0.

მეტად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა მატჩი ახალციხეში ადგილობრივ „მესხეთსა“ და გეგეჭკორის „სალხინოს“ შორის. პირველ ტაიმში გატანილმა ერთადერთმა ბურთმა „მესხეთს“ მოუტანა გამარჯვება ანგარიშით 1:0.




II ქვეჯგუფის ლიდერი — ქუთაისის „იმერეთი“ ქობულეთში შეხვდა ადგილობრივ „შუქურას“. ქობულეთელმა ფეხბურთელებმა მეტად მაღალ ტემპში, აქტიურად დაიწყეს თამაში და პირველ ტაიმში ორჯერ აიძულეს ლიდერი ცენტრიდან დაეწყო თამაში. სტუმრებმა შესვენების შემდეგ საგრძნობლად გამოასწორეს მდგომარეობა, მაგრამ შეძლეს მხოლოდ ერთი საპასუხო ბურთის გატანა, გაიმარჯვა „შუქურამ“ — 2:1.

სამტრედიის „ლოკომოტივისა“ და გურჯაანის „კახეთის“ შეხვედრაში სამტრედიელ ფეხბურთელთა უპირატესობა უდავო იყო მთელი 90 წუთის განმავლობაში, ნათელი ამის ნათელი ილუსტრაციაა ანგარიში 6:0 რკინიგზელთა სასარგებლოდ.

### ზონალური გათამაშების მატჩები

ადგ. მრეწვ. (წითელწყარო)-საჭყეო კომბინატი (ახმეტა) — VV:0, ა.ტ.ს. (მარნეული)-„ჩანჩქერი“ (ლაგოდეხი) — 2:1, „გარეჯი“ (საგარეჯო)-„კოლმეურნე“ (გურჯაანი) — 1:1, ადგ. მრეწ. (თეთრი წყარო)-„ჯავახეთი“ (დმანისი)—5:1, „კოლმეურნე“ (წალკა) - „სპარტაკი“ (ახალქალაქი) — 2:0, „ზემო ქართლი“ (ხაშური)-შაქრის კომბინატი (აგარა) — 4:0, „ივრი“ (თიანეთი)-„არაგვი“ (დუშეთი) — VV:0, შუშის ქარხანა (ბორჯომი)-ცემენტის ქარხანა (კასპი) — 0:2, „სუბტროპიკი“ (წალენჯიხა)-მახარაძის სახ. კოლ. (ჩხოროწყუ) — 2:0, ახალ. ფეხ. სკოლა (ზუგდიდი)-„ლეობარდე“ (გეგეჭკორი) — 1:2, „განთიადი“ (ზუგდიდი)-„განთიადი“ (აბაშა) — 2:0, „ელვა“ (ჩოხატაური)-„საირმე“ (მაიაკოვსკი) — 0:1, „სპარტაკი“ (ვანი)-„ლაითური“ (მახარაძე) — 2:0, „მერცხალი“ (სამტრედია)-„მშენებელი“ (ლანჩხუთი) — 0:VV, რაიკოოპკავშირი (თერჯოლა)-„მოდინახე“ (საჩხერე) — 3:3, „მშენებელი“ (ჭიათურა)-„კოლმეურნე“ (ამბროლაური) — 4:0.

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 11 აგვისტოსათვის

I ქვეჯგუფი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეშახტე“ ტყიბული | 19 | 14 | 4 | 1 | 47—16 | 32 |
| „ოდიში“ ზუგდიდი | 18 | 12 | 4 | 2 | 39—22 | 28 |
| „განთიადი“ ცხაკაია | 18 | 12 | 3 | 3 | 41—15 | 27 |
| „გურია“ ლანჩხუთი | 18 | 10 | 6 | 2 | 34—15 | 26 |
| „ისანი“ თბილისი | 19 | 9 | 4 | 6 | 44—29 | 22 |
| ადგ. მრეწ სამმ. თბილისი | 19 | 8 | 5 | 6 | 37—33 | 21 |
| ფიზკ. ინსტ. თბილისი | 19 | 8 | 4 | 7 | 44—31 | 20 |
| „ფეიქარი“ წულუკიძე | 18 | 8 | 2 | 8 | 26—30 | 18 |
| „მეტალურგი“ ზესტაფონი | 19 | 5 | 5 | 9 | 32—36 | 15 |
| „დურუჯი“ ყვარელი | 18 | 5 | 5 | 8 | 17—29 | 15 |
| „ბურევესტნიკი“ ცხინვალი | 18 | 4 | 6 | 8 | 20—28 | 14 |
| „დინამო“ სოხუმი | 18 | 4 | 3 | 11 | 21—32 | 11 |
| „მეტალურგი“ რუსთავი | 18 | 4 | 3 | 11 | 29—40 | 11 |
| „მექანიზატორი“ ფოთი | 18 | 3 | 3 | 12 | 12—40 | 9 |
| „ბახმარო“ ჩოხატაური | 19 | 3 | 1 | 15 | 20—54 | 7 |

• • •

II ქვეჯგუფი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მერცხალი“ მახარაძე | 20 | 10 | 8 | 2 | 43—13 | 28 |
| „იმერეთი“ ქუთაისი | 19 | 11 | 6 | 2 | 45—19 | 28 |
| „შუქურა“ ქობულეთი | 19 | 12 | 3 | 4 | 42—21 | 27 |
| „სინათლე“ თბილისი | 19 | 11 | 1 | 7 | 43—25 | 23 |
| „მესხეთი“ ახალციხე | 18 | 8 | 6 | 4 | 35—24 | 22 |
| სკა თბილისი | 20 | 9 | 4 | 7 | 34—40 | 22 |
| „სპარტაკი“ ბათუმი | 19 | 7 | 7 | 5 | 26—20 | 21 |
| „დილა“ გორი | 16 | 7 | 6 | 3 | 20—11 | 20 |
| „ლოკომოტივი“ სამტრედია | 20 | 6 | 8 | 6 | 37—31 | 20 |
| „განთიადი“ ბორჯომი | 19 | 6 | 6 | 7 | 27—27 | 18 |
| „კახეთი“ გურჯაანი | 20 | 5 | 6 | 9 | 29—44 | 16 |
| „სალხინო“ გეგეჭკორი | 20 | 6 | 3 | 11 | 17—28 | 15 |
| სას. სამ. ინსტ. თბილისი | 12 | 3 | 6 | 3 | 11—13 | 12 |
| „კოლხიდა“ ხობი | 20 | 2 | 8 | 10 | 18—37 | 12 |
| „მაღაროელი“ ჭიათურა | 18 | 2 | 5 | 11 | 19—43 | 9 |
| „ნადიკვარი“ თელავი | 19 | 2 | 1 | 16 | 21—64 | 5 |



## კოშკიდან, ტრამპლინიდან

(დასასრული)

პირველ ორ დღეს გათამაშდა გუნდური პირველობაც. 63 ქულით პირველ ადგილზე არიან თბილისელი სპორტსმენები. 16-16 ქულით მეორე-მესამე ადგილს იყოფენ აფხაზეთისა და აჭარის წარმომადგენლები.

როგორ წარიმართა ფინალური ასპარეზობა? სპეციალისტების უმრავლესობის აზრით, 3-მეტრიან ტრამპლინიდან წყალში მხტომელ ქალთა შორის უნდა გაემარჯვნა ა. კალიაგინას, რადგან მას წლეულს საკმაოდ მაღალი შედეგები ჰქონდა ნაჩვენები და სხვადასხვა შეჯიბრებაში სამჯერ გაუსწრო რესპუბლიკის გასული წლის ჩემპიონს დ. კინწურაშვილს. ფინალში თვითეულ მათგანს 10-10 ნახტომი უნდა შეესრულებინა. დ. კინწურაშვილი ყოველი ნახტომის შემდეგ ამცირებდა განსხვავებას და უკვე მესამე ცდის შემდეგ 3,26 ქულამდე შეამცირა სხვაობა. მეხუთე ცდის შემდეგ იგი უდრიდა 1,88 ქულის, ხოლო მეშვიდე ცდის შემდეგ 1,34 ქულით წინ გავიდა. დასკვნით სამ ნახტომს მდგომარეობა არ შეუცვლია და რესპუბლიკის ჩემპიონობა შეინარჩუნა დ. კინწურაშვილმა — 202,31 ქულა. მეორე ადგილი ა. კალიაგინას დარჩა — 199,09 ქულა. მესამეზეა ლ. იაროსლავცევა — 159,01 ქულა.

ვაჟთა შორის ტოლი არ ჰყავდა ი. გუტიაგულოვს, რომელმაც 210,63 ქულა მოაგროვა და რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა.

სპორტის ოსტატმა ნ. ნუდელმა შეინარჩუნა ლიდერობა კოშკიდან ხტომაში ქალთა შორის და 125,44 ქულით პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი. მეორე ადგილზეა ნ. ჩივაძე — 119,95 ქულა, რომელმაც ჩვენის აზრით, მხოლოდ იმიტომ წააგო, რომ ვერ მოასწრო რთული პროგრამის ათვისება. მესამე ადგილი წილად ხვდა ტ. ოვჩინიკოვას — 117,45 ქულა.

რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება კოშკიდან ხტომაში ვაჟთა შორის ადვილად მოიპოვა თბილისელმა სპორტის ოსტატმა ბ. პლევაკომ — 243,49 ქულა.

სამწუხაროდ, თუ დედაქალაქის სპორტსმენთა მომზადების დონე ასეთუისე დამაკმაყოფილებელია, ამას ვერ ვიტყვით რაიონებიდან ჩამოსულ სპორტსმენებზე. თუ თბილისის გუნდმა 63 ქულა მოაგროვა, აფხაზეთისა და აჭარის გუნდებმა მხოლოდ 16-16 ქულა მოაგროვეს თვითეულმა. ამ ორივე გუნდის 24 სპორტსმენიდან მხოლოდ 4-მა შეასრულა ჩასათვლელი ნორმატივი. ეს აიხსნება იმით, რომ აფხაზეთში, აჭარასა და ქუთაისში ფაქტიურად არ არის ბაზა, სადაც შეიძლებოდეს წყალში მხტომელთა მომზადება. ჩვენს გაზეთში არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ ბათუმსა და სოხუმში საწყლოსნო სადგურების მდგომარეობა ძალზე ცუდია, ხოლო ქუთაისის საწყლოსნო სადგურში მეცადინეობა ხშირად შეუძლებელია, რადგან აუზში წყალი ცოტაა.

მიმდინარე წლის სექტემბერში მინსკში გაიმართება საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა წყალში ხტომაში. დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რადგან მეტად დაძაბული ბრძოლა მოგველის. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში შეყვანილია მთელი რიგი ახალგაზრდა სპორტსმენები. მათ შეუერთდება აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ბ. პოლულიახი, რომელიც ევროპის პირველობის წინ მოსკოვში გადის წვრთნას.

ვ. ინწკირველი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
ა. ცეხანელი.

• • •

სურათზე: წყალში მხტომელ ქალთა შორის გამარჯვებულნი (მარცხნიდან) ნ. ნუდელი, ნ. ჩივაძე და დ. კინწურაშვილი.

## რესპუბლიკის თასზე

გრძელდება საქართველოს თასის გათამაშება ფეხბურთში.

მეტად საინტერესო გამოდგა მატჩი მახარაძეში ადგილობრივ „მერცხალსა“ და ლანჩხუთის „გურიას“ შორის. შეხვედრის დამთავრებას რამდენიმე წუთი აკლდა, როცა ანგარიში იყო ფრე — 1:1. სწორედ ამ მომენტში მახარაძელთა მეკარე ჟორდანიამ დაუშვა შეცდომა, რომელიც კარგად გამოიყენეს სტუმრებმა და მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 2:1. ლანჩხუთის ფეხბურთელები გავიდნენ გათამაშების ნახევარფინალში.

გორში თამაშობდნენ ადგილობრივი „დილა“ და ქობულეთის „შუქურა“. „დილამ“ მოიპოვა გამარჯვება მინიმალური ანგარიშით — 1:0.

საუკეთესოდ ითამაშა ტყიბულის „მეშახტემ“ თბილისში, სადაც იგი შეხვდა ადგილობრივ „სინათლეს“. ტყიბულელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0.

# მოსწავლეები ჭადრაკის დაფებთან

ზაპოროჟიე. (ტელეგრაფით, ჩვენი საკ. კორ.). აქ დაიწყო საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა ჭადრაკში უმცროსი ასაკის მოსწავლეთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობს 12 გუნდი. თვითეული გუნდის შემადგენლობაშია 7-7 მოჭადრაკე. საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავენ მოსწავლეები — თ. გიორგაძე, ლ. კერნოვიცკი, გ. ცისელაშვილი, ა. ლიპარტელიანი, ა. ბოკუჩავა, მ. ალექსანდრია და ქ. სურგული. უკვე ჩატარდა ექვსი ტური. საქართველოს მოჭადრაკეები ჯერჯერობით მესამე ადგილზე არიან. პირველ-მეორე ადგილებზე მიდიან რსფსრ-სა და უკრაინის კოლექტივები.

საქართველოს ნორჩმა მოჭადრაკეებმა 6 ტურის მანძილზე მხოლოდ ერთი დამარცხება განიცადეს ლენინგრადის ძლიერ კოლექტივთან ანგარიშით 3:4.

შეჯიბრება გრძელდება...

# მედიცინის მუშაკთა შორის

დამთავრდა თბილისის მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის III ტრადიციული სპარტაკიადა, სადაც მონაწილეობდა 14 ფიზკულტურული კოლექტივის 180 სპორტსმენი. სპარტაკიადის პროგრამაში იყო მაგიდის ჩოგბურთი, სროლა და ჭადრაკი.

საერთო გუნდური პირველობა მოიპოვა ქალაქის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ძლიერმა კოლექტივმა, მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ქალაქის 1-ლი საავადმყოფოსა და ტუბერკულოზის კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივები.

ზ. მიქიაშვილი

# [illegible]...

### პელე — „ვარსკვლავთა" შორის

ამერიკულმა გაზეთმა „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნმა" ამას წინათ გამოაცხადა კონკურსი: „1962 წლის პოპულარული ადამიანები". პრიზი მიიღო ორმა ამერიკელმა კინომსახიობმა — ელიზაბეტ ტეილორმა, ჯენ მანსფილდმა და ბრაზილიელმა ფეხბურთელმა პელემ.

### თანამედროვე „კვაზიმოდო"

ცნობილია, რომ კეტჩი არის პროფესიონალური ამერიკული ჭიდაობა, სადაც ნებადართულია ყველა ილეთი. ამ სახეობაში მონაწილე სპორტსმენები ათასგვარ სარეკლამო საშუალებას მიმართავენ, რათა მიიქციონ ყურადღება და მიიზიდონ მაყურებელთა მეტი რაოდენობა.

პარიზში, მაგალითად, გასტროლებს ატარებს კიდ ზებრა, რომელსაც თავისი გვარის შესაბამისად აცვია ზოლებიანი ტრიკო და ასეთივე ნიღაბი. სხვანი იცვამენ მოჩვენებებისა და მხეცების ნიღბებს. დიდი წარმატებით სარგებლობს ვინმე „კვაზიმოდო", რომელმაც სათანადო ეფექტისათვის დაიძრო ყველა კბილი ერთის გარდა. მისი აზრით, ეს საუკეთესოდ „მოქმედებს" მაყურებლებზე.

# ჩვენ ვსწავლობდით, ახლა ვასწავლით

სულ ცოტა ხანია, რაც დამთავრდა მსოფლიო პირველობა ტანვარჯიშში, მაგრამ იაპონელი სპორტსმენები უკვე საფუძვლიანად შეუდგნენ ტოკიოს ბრძოლებისათვის მზადებას. ამის შესახებ განცხადება გააკეთა გუნდის მწვრთნელმა, მასაო ტაკემოტომ. „ჩვენმა ტანმოვარჯიშეებმა, — სთქვა ტაკემოტომ, — სსრ კავშირის სპორტსმენებთან ერთად დიდი წარმატებები მოიპოვეს. პრაღაში ჩინებულად გამოსვლის მიუხედავად, 1964 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი გუნდი გამოვა სრულიად ახალი შემადგენლობით, რადგან იაპონიაში ახალგაზრდა ნიჭიერი ტანმოვარჯიშეების უდიდესი რეზერვია. დარწმუნებით უნდა ვთქვა, რომ ახლანდელი შემადგენლობიდან ოლიმპიურ გუნდში შევა მხოლოდ იუხიო ენდო, რომელმაც პრაღაში მოიპოვა ვერცხლის მედალი პირად პირველობაზე". დასასრულ ტაკემოტომ აღნიშნა, რომ ტანმოვარჯიშის კარგად მომზადებისათვის საჭიროა სერიოზული და დაუღალავი ვარჯიში. „თავის დროზე, — დაუმატა მან, — ჩვენ ვსწავლობდით მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენებისაგან, ამჟამად სხვა გუნდებს შეუძლიათ ისწავლონ საბჭოთა და ჩვენი ქვეყნის ტანმოვარჯიშეებისაგან".





ლარისა ლატინინა და ევა ბოსაკოვა ძველი მეგობრები და მეტოქეები არიან. აი ახლაც, პრაღის მსოფლიო ჩემპიონატის დროს, საბჭოთა და ჩეხოსლოვაკელმა ტანმოვარჯიშეებმა ერთმანეთი მონახეს, გადაეხვივნენ და..., ფოტორეპორტიორებსაც მეტი არ უნდოდათ (სურათი ზემოთ). მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ლ. ლატინინა და ე. ბოსაკოვა დღესდღეობით უკვე მხოლოდ მეგობრები დარჩნენ. სიტყვა „მეტოქე" უკვე აღარ ფიგურირებს მათ შორის, ყოველ შემთხვევაში, პრაღის ჩემპიონატის შემდეგ, რადგან ე. ბოსაკოვას გადაწყვეტილი აქვს მთლიანად საწვრთნო მუშაობაზე გადავიდეს, თუ მაინცდამაინც, ლ. ლატინინას „მეტოქე" იქნება, მხოლოდ თავისი აღზრდილის, მეტად ნიჭიერი, ახალგაზრდა სპორტსმენის ვ. ჩესლავსკას „მეოხებით".

ქვედა სურათზე აღბეჭდილია ამერიკელთა გუნდის ლიდერი მ. გროსფელდი. ორი წლის წინათ გროსფელდი თბილისშიც გამოდიოდა და აქაც მიიპყრო ყურადღება თავისი რთული და მეტად ეფექტური ვარჯიშებით.

# გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

როგორც ცნობილია, ჩვენს გაზეთში ამას წინათ გამოქვეყნებული იყო ინფორმაცია ამერიკელი მოცურავის ფრედ ბალტაზარის მიერ ლა-მანშის სრუტის წყალქვეშ გადაცურვის შესახებ. ჩვენი გაზეთის მკითხველები გ. სიმონიშვილი, მ. მამალაძე, თ. ეგნატაშვილი და გ. ნიშნიანიძე გვთხოვენ მოვუთხროთ დაწვრილებითი ცნობები.

38 წლის ამერიკელმა მოცურავემ ფრედ ბალტაზარმა ისტორიაში პირველად გადასცურა ლა-მანშის სრუტე წყალქვეშ. ცურვა გრძელდებოდა 18 საათსა და 59 წუთს. ბალტაზარმა სტარტი აიღო საფრანგეთის ტერიტორიიდან გრინეს კონცხთან 13 საათსა და 16 წუთზე. ინგლისის ნაპირებს დილ კენტთან მან მიაღწია მეორე დღეს, დილის 8 საათსა და 15 წუთზე.

ეს იყო ამერიკელის მეორე ცდა. პირველი ცდისას იგი ცურავდა მხოლოდ 40 წუთის განმავლობაში, მაგრამ მაშინ მან მიზანს ვერ მიაღწია — ზღვის ძლიერმა ღელვამ იძულებული გახადა უკან დაბრუნებულიყო საბუქსირო კარჭაპით, რომელიც მას აცილებდა.

მეორედ, თავისებური რეკორდის დამყარებისას, ფრედ ბალტაზარი ცურავდა წყალგაუვალ კოსტუმში. წინ, გაშლილი ხელებით მას ეკავა ჩაჩქანი, რომელიც წყალს სჭრიდა. ეს კი საშუალებას აძლევდა ფრედს საათში 2,5 კმ მანძილი დაეფარა. ფეხებზე ჩაცმული ჰქონდა ლასტები; თან ახლდა პარიზის მონადირეთა და წყალქვეშა კვლევის კლუბის ექვსი წევრი გემ „ბენსოთი". „ბენსო" სპორტსმენს 15 მეტრის დაშორებით მიჰყვებოდა და თან მიათრევდა 3 მეტრის სიგრძისა და 1,5 მეტრის სიგანის ლითონის ჩარჩოს, რაზეც გადაჭიმული იყო თეთრი ქსოვილი (აღნიშნული მოწყობილობა 5 მეტრის სიღრმით იყო ჩაშვებული წყალში). თეთრი ქსოვილი, ირეკლავდა გემიდან მინათებული პროჟექტორის სინათლის სხივებს და მოცურავისადმი თვალის დევნების საშუალებას იძლეოდა. მთელი ღამის განმავლობაში ბალტაზარის კონტროლქვეშ ყოფნისათვის გამოყენებულ იქნა სატელევიზიო დანადგარი და ვიდეოკინოსკოპი.

უბედური შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით ყოველ 40 წუთში იცვლებოდა ბალონები შეკუმშული ჰაერით და ბალტაზარს ეძლეოდა ცხელი სასმელები და შოკოლადი.

ფრედ ბალტაზარი წინ მიიწევდა წუთში 60-80 ხელმოსმის სიჩქარით. ყველაზე კრიტიკული მომენტის გადატანა მას მოუხდა ღამის 2 საათზე ძლიერი ღელვის დროს. ტალღების სიმაღლე აღწევდა 3-4 მეტრს, ხოლო დისტანციის უკანასკნელ „მონაკვეთზე" ფრედი ებრძოდა ჯერ საკმაოდ სწრაფ დინებას, ხოლო შემდეგ — ზღვის უკუქცევას. ქანცგამოლეული ბალტაზარი კი არ ამოვიდა, არამედ ამოხოხდა ნაპირზე. იგი მხოლოდ 10 წუთის შემდეგ მოვიდა გონს.

ეს ბალტაზარის მეორე გამარჯვებაა. ადრე მან გადასცურა მესინას სრუტე კუნძულ სიცილიასა და იტალიას შორის.

• • •

ამას წინათ, 20 წლის ინგლისელმა სიმონ პეტერსონმა გააუმჯობესა ფრედ ბალტაზარის შედეგი. პეტერსონმა ლა-მანშის სრუტის გადალახვას მოანდომა 14 საათი და 15 წუთი და ამით დაამყარა წყალქვეშა ტრასის ახალი რეკორდი.



★

სურათზე: გონზე მოსულ ბალტაზარს ცურვის მშვიდობით დამთავრებას ულოცავს თავისი მეუღლე.

★




ნიუ-იორკის ტრადიციული ტურნირის ბოლო ორი წლის გამარჯვებულები „დუკლა" (პრაღა) და „ამერიკა" (რიო-დე-ჟანეირო) ერთმანეთს შეხვდნენ სპეციალურად დაწესებული პრიზისათვის საბრძოლველად. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

განმეორებითი შეხვედრა ამ გუნდებს შორის გაიმართება დღეს, ნიუ-იორკში.

• • •

მადრიდის „რეალის" ცნობილი ფეხბურთელი, მარჯვენა შუამარბი ლუის დელ სოლი ამას წინათ გაყიდულ იქნა. ეს გამოჩენილი ფორვარდი შეიძინა იტალიურმა კლუბმა „იუვენტუსმა" (ტურინი). ლ. დელ სოლი „იუვენტუსში" თამაშობს ბრიტანელი ფეხბურთელის ჯონ ჩარლზის ადგილზე, რომელმაც აღარ განაახლა კონტრაქტი ამ კლუბთან და დაბრუნდა სამხრეთ უელსში.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05765